



წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, 2304

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: მკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:
ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა, 2304

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, 204577813

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
2304	პროგრამა: ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	7,900.0	7,780.0	7195.2	92,25%	1652.1

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

eBudget - ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა

დასრულდა და რეალურ გარემოში დაინერგა ბიუჯეტისა და ხაზინის ელექტრონულ სისტემებს შორის გადასახდელების გეგმების, ბლოკირებების, რესურსების მიმოცვლის და ვალიდაციის ოპტიმიზირებული მექანიზმები. ასევე, ბიუჯეტის და ხაზინის ელექტრონული სისტემების შემოსულობების კლასიფიკატორის უნიფიკაციის, ბიუჯეტისა და ვალების მართვის ელექტრონული სისტემების ინტეგრაციის და რიგი სხვა ამოცანები.

eTreasury - სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა

სისტემას დაემატა 10 ახალი ფუნქციონალი (დაგროვებითი საპენსიო სქემის ხაზინის ორგანიზაციის თანამშრომლის სტატუსის დადგენა და ხაზინის და საპენსიო სააგენტოს ბაზის მონაცემების ავტომატური სინქრონიზაცია, ხაზინის სისტემიდან საპენსიო ფონდიდან თანხის მობრუნების განაცხადის გაგზავნა, საპენსიო სააგენტოდან თანხების მობრუნების ავტომატიზირებული პროცესი, ხაზინის თანამშრომლის საპენსიო სქემაში ნებაყოფლობითი დაწვევრიანების განაცხადის გაგზავნა და სხვა). შეიცვალა გრანტების გადარიცხვების ვალიდაციის სქემა, ვალდებულების ფორმა,



ხელშეკრულების და ვალდებულების დეტალების ვალიდაციები, შემოსავლების კლასიფიკატორების ბუღალტრულ ოპერაციებთან კავშირები, SWIFT ტრანზაქციების დამუშავების ფუნქციონალი, შესყიდვების სააგენტოდან მონაცემების მიღების და მიღებული მონაცემების დამუშავების ლოგიკა. ხაზინის ელექტრონულ სერვისებს დაემატა ახალი მეთოდები, ხოლო საფინანსო უწყების პორტალს და ხაზინის მოდულს დაემატა ანგარიშგებები. მოხდა მხარჯავების პორტალის და ხაზინის მოდულების ოპტიმიზაცია.

eDMS – სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა

რეალურ გარემოში დაინერგა ვალების მართვისა და ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემების ინტეგრაციის ამოცანა. გადაკეთდა რიგი ანგარიშგების დოკუმენტები გამოსყიდული ფასიანი ქაღალდების ასახვის მიზნით. გამკაცრდა სისტემაში მუშაობის უსაფრთხოების მექანიზმები და დასრულდა რიგი სხვა ამოცანები.

eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა

შემუშავდა და სისტემას დაემატა 10-ზე მეტი ახალი ფუნქციონალი, მოდული და ანგარიშგება. დასრულდა საინტეგრაციო სერვისების პირველი ეტაპი და მსვლელობა მიეცა შემდგომი ეტაპის ამოცანებს (ტექნიკური დავალება ანგარიშგების კონსტრუქტორისთვის).

eDocument - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა

მომზადდა და დაინერგა სისტემის 3 განახლება, რომლების ფარგლებშიც შესრულდა 14 ამოცანა (შტრიხკოდის QR ფორმატზე გადასვლა, DES სისტემიდან დოკუმენტის რეგისტრაციის ინფორმაციის მიღება, კვალიფიციური ქსელური შტამპით დოკუმენტის დადასტურების რეალიზაცია - HSM მოწყობილობების მხარდაჭერა, დოკუმენტების ავტომატური რეგისტრაცია, ფაქსიმილეს დატანა დანართებზე, დოკუმენტების სხვა სისტემებში ექსპორტი და სხვა). ჩატარდა 2010-2018 წლის ფაილების არქივაცია და NAS (QNAP) საცავში გატანა. შემუშავდა „მომსახურების დონის შესახებ“ (SLA) დოკუმენტი. მხარდაჭერილია სისტემისა და მისი სერვისების ფუნქციონალუბი და წარმადობა.

eAuction - ელექტრონული აუქციონი

განხორციელდა 51 ფუნქციონალური ელემენტის ოპტიმიზაცია და რეალურ გარემოში განთავსდა სისტემის 36 კომპონენტი. სისტემას დაემატა ანგარიშგების სხვადასხვა ახალი ფორმები (დადასტურებული ლოტების ავტომატურად გამოქვეყნება, ქვითრის ბეჭდვა და სხვა). სისტემის მობილურ აპლიკაციას დაემატა ორი ახალი ფუნქციონალი: ლოტების რეგისტრაცია და ელექტრონული მაღაზია eShop. შეიცვალა ავტორიზაციის მეთოდი (დიჯიპასი ჩანაცვლდა მობილურ ტელეფონზე გაგზავნილი სმს შეტყობინებით). გაფართოვდა ძიების ფუნქციონალი. ჩატარდა სისტემის შიდა სერვისების ოპტიმიზაციის და განახლების სამუშაოები.

ფინანსთა სამინისტროს ICT ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა

ჩატარდა QNAP სტორიჯის ინსტალაცია მონტაჟი მონაცემთა ორივე ცენტრში. მაღალი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მონაცემთა საცავი დაერთდა 2 დამოუკიდებელ ბირთვზე, განახლდა სისტემა და მოხდა მისი ინტეგრაცია არსებულ ინფრასტრუქტურაში. განახორციელდა ტესტირებები ქსელის მდგრადობასა და წარმადობაზე სხვადასხვა კონფიგურაციების პირობებში. ჩატარდა მონაცემთა



ბაზების (Oracle და SQL) სერვერების სტრუქტურის განვითარება და დახვეწა. ოპტიმიზაცია ჩაუტარდა, მონაცემი შეიკუმშა და წლების მიხედვით დაიყო eDocument-ის და eTreasury სისტემის ბაზებისთვის. დაინერგა ორაკლის მონაცემთა ბაზების მონიტორინგისა და მართვის საშუალებები (Oracle Enterprise Manager Cloud Control 13c), რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება, როგორც მოსალოდნელი ინციდენტების დიდი ნაწილის პრევენცია, აგრეთვე წარმოქმნილი პრობლემების მოკვლევა და ანალიზი.

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით, ხორციელდება გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის (IMS) ხუთი პროექტი.
- შემუშავებული, განთავსებული და მხარდაჭერილია 10-ზე მეტი სხვადასხვა ვებ-გვერდი, პორტალი და/ან ონლაინ პლატფორმა.
- ჩატარდა შემდეგი ტრენინგების, სემინარების და კონსულტაციების ციკლი: საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument) - 21 ორგანიზაცია, 278 მომხმარებელი; ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა (eHRMS) - 84 ორგანიზაცია, 111 მომხმარებელი. სულ - 389 მომხმარებელი.

მიღწეული საბოლოო შედეგები: საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) დანერგვის შემდგომი პროცესები უზრუნველყოფილია და შესაბამისობაშია გეგმასთან; უზრუნველყოფილია ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო კონსოლიდირებული და ინტეგრირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა; უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე აგებული ფინანსთა სამინისტროს სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია; განსაზღვრულია მომხმარებელთა სხვადასხვა რესურსზე წვდომის უფლებები, უზრუნველყოფილია კონტროლი და მონიტორინგი; ოპტიმიზებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო სერვისების გამოყენება მომხმარებელთა მიერ; უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი სისტემებისა და ელექტრონული სერვისების, ვებპროდუქტებისა და ვებსერვისების, ელექტრონული მმართველობის კომპონენტების, სხვა ახალი ტექნიკური სისტემების შემუშავება, დანერგვა და განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: თანამშრომელთა პროფესიულ ტრენინგებში მონაწილეობის რაოდენობრივი მაჩვენებელი; ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) ახალი კომპონენტების დანერგვის, უკვე არსებული ქვესისტემების სრულყოფის ფაქტობრივი ვადების და რესურსების ხარჯვის შესაბამისობა დაგეგმილ ვადებთან; რეალიზებული ინფორმაციულ-ანალიტიკური სისტემების და ვებპროდუქტების ფუნქციონალის შესაბამისობა ფინანსთა სამინისტროს სისტემის ან სხვა სამთავრობო უწყებების მოთხოვნების ფუნქციონალურ სპეციფიკაციასთან; ცხელი ხაზის საქმიანობის ამსახველი წლიური სტატისტიკური მაჩვენებლები; საინფორმაციო სისტემებში ხარვეზების რაოდენობის და ავარიული გაჩერებების აღმოფხვრის დროის ჯამური წლიური მაჩვენებელი.



დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი, eBudget - ხორციელდება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების, ასევე სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტებისა და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფინანსური მონაცემების ინტეგრირებული. შემუშავდა სისტემის ახალი ვერსია.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი, eBudget - სისტემის მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება არსებული ფუნქციონალის დახვეწის, განვითარების, მოდელირებისა და მონაცემთა ანალიზის ახალი მექანიზმების შემუშავების გზით. სისტემის მოქმედების არეალის „მიღმა“ დარჩენილი პროცესების ავტომატიზაცია ახალი მოდულების დამატების გზით. საჯარო ფინანსების მართვის პროცესის მოდერნიზების ფარგლებში სხვა ელექტრონულ სისტემებთან ინტეგრაციის გაღრმავება.

მიღწეული მაჩვენებელი - განახლებულია სისტემის ფუნქციონალები; განხორციელდა eTreasury და eDMS სისტემებთან ინტეგრაცია ახალი მოთხოვნების შესაბამისად.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი, eTreasury - ხორციელდება დოკუმენტებისა და დანართების ელექტრონულ ფორმატში წარდგენა და საბიუჯეტო სახსრების მართვა. მხარჯავი დაწესებულებები ახდენენ სახელმწიფო ფულადი სახსრების გადარიცხვას online რეჟიმში ახდენენ. შემუშავდა სისტემის ახალი ვერსია.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემის მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება. ბუღალტრული აღრიცხვის საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე სრულად გადასვლა. რეფორმების ფარგლებში მსვლელობა მიეცა სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზებას ან ახლი მოდულების დამატების ამოცანებს.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა ვალდებულების და ხელშეკრულების გაერთიანების რეფორმა; შესაბამისი ბუღალტრული გატარებები აისახება ხაზინის მთავარ წიგნში.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი, eDMS - ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების 204 ცვლილება; ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნის და ტესტირების შესაძლო სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დანერგვა ფინანსთა სამინისტროში. სახელმწიფო სესხზე, ვალზე და გრანტებზე არსებულ ყველა სახის მონაცემების ერთ სისტემაში თავმოყრა. შესაბამისი ფინანსური ინფორმაციის სრული სახით მიღების უზრუნველყოფა.



მიღწეული მაჩვენებელი - საშინაო და საგარეო ვალის შესახებ ინფორმაცია გადატანილია eDMS სისტემაში; განხორციელდა eTreasury და eBudget სისტემებთან ინტეგრაცია ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი, eHRMS - 300-ზე მეტ სახელმწიფო ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება სისტემის მეშვეობით. შემუშავდა სისტემის ახალი ვერსია.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემის მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა. ახალი ვერსიის გავრცელება მომხმარებელ ორგანიზაციებში. ახალი მოდულების შემუშავება და სხვა სისტემებთან (eDocument, eTreasury) ინტეგრირება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა Self-service მოდულის დამატება სისტემაში. სისტემის ახალი ვერსია დაინერგა ფინანსთა სამინისტროში.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი, eAuction – 70,000-მდე ფიზიკური და 8,300-მდე იურიდიული პირი და 60-მდე პარტნიორი ორგანიზაცია ახორციელებს ელექტრონულ ვაჭრობას სისტემის მეშვეობით.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემის მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება. სისტემის ფუნქციონალისა და დიზაინის ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

მიღწეული მაჩვენებელი - სისტემის ფუნქციონალი შეესაბამება დამკვეთის მოთხოვნებს.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი, eDocument – 300+ ორგანიზაცია და 25,000+ მომხმარებელი შიდა და გარე მიმოწერას ახორციელებს ელექტრონულად. მხარდაჭერილია არსებული ფუნქციონალი. შემუშავებულია სისტემის ახალი ვერსია.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემის მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა - სისტემის ფუნქციონალობის შესაბამისობა დამკვეთის მოთხოვნებთან; სისტემის ახალი ვერსიის დანერგვა ყველა მომხმარებელ ორგანიზაციაში; სხვა საინფორმაციო სისტემებთან ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

მიღწეული მაჩვენებელი - სისტემაში რეალიზებული ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული შტამპის ფუნქციონალები. რეალიზებულია ქსელური შტამპის და სხვა, 50+ ახალი ფუნქციონალი. განახლებული ვერსია დანერგილია ყველა კლიენტ ორგანიზაციაში.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი, EIMS - სისტემას ჰყავს 3 900-მდე მომხმარებელი, რომლებიც ახორციელებენ ინფორმაციის ელექტრონულად დამუშავებას სხვადასხვა მიმართულებით (ხე-ტყის, სახერხი საამქროს, ატმოსფერული ჰაერი). მიმდინარეობს სისტემის ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერა და ახალი ამოცანების დამუშავება.



დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემის მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა. ფუნქციონალისა და დიზაინის შესაბამისობა ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან; თევზჭერის მართვისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება; წყლის სახელმწიფო აღრიცხვის მართვისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება.

მიღწეული მაჩვენებელი - საინფორმაციო სისტემაში რეალიზებულია თევზჭერის და წყლის აღრიცხვის და მონიტორინგის ფუნქციონალები; სისტემის ახალი ვერსია დანერგილია ბუნებრივი რესურსების და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - შემუშავებული, განთავსებული და მხარდაჭერილია 50+ ვებგვერდი, პორტალი და/ან ელექტრონული პლატფორმა.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ვებგვერდების და სხვა საინფორმაციო პლატფორმების შემუშავება, დანერგვა და მხარდაჭერა. ვებგვერდების და საინფორმაციო სისტემების ფუნქციონალისა და დიზაინის ტექნიკური დავალების და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემუშავებული ვებგვერდები შესაბამისობა დამკვეთის მოთხოვნებთან.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა - უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურის განვითარება და ტექნიკური მხარდაჭერა. დანერგილია ITIL სტანდარტის ცვლილებების მართვის სისტემა მაიკროსოფტის სისტემ-ცენტრის ტექნიკურ პლატფორმაზე. განხორციელდა მონაცემთა შენახვის სისტემის მოცულობის და სიმძლავრის გაზრდა და დაინერგა მონაცემთა ბაზის ოპერირების ახალი ტექნოლოგია.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, ბიზნეს-უწყვეტობის უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა: სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის განახლება და სიმძლავრეების შესაბამისობა კრიტიკული სისტემების მოთხოვნებთან და საჭიროებებთან; ბიზნეს-პროცესები ხორციელდება ITIL სტანდარტების შესაბამისად; დანერგილია უსაფრთხოების პოლიტიკა.

მიღწეული მაჩვენებელი - განახლებულია სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის წარმადობა. შემუშავებულია ქსელური უსაფრთხოების პოლიტიკა.